სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თამარ მახარობლიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	84	100

თარიღი : 06.12.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 6 დეკემბერი, ქალაქი თბილისი

თამარ მახარობლიძის შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი.

1.2. ,,საბჭოს" 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამარ მახარობლიძე** (შემდგომში - ,,კანდიდატი"), ყველა ვაკანტურ თანამდებობასთან მიმართებით.

1.3. ,,საბჭოს" შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის" შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ,,საბჭომ" ჩაატარა ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენა, რომელშიც სრულად მივიღე მონაწილეობა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე ,,კანდიდატი" შევაფასე ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *,,საბჭოს" შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

2.1.1. ,,კანდიდატი" 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 9 წელზე მეტია.

2.1.2. ,,კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები ,,კანდიდატს" დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის

სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. ,,კანდიდატი" არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. ,,კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი და გააჩნია დადებითი საკრედიტო ისტორია. ,,კანდიდატის" საკუთრებად უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ,,კანდიდატი" რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატი" 18 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. სასამართლოში ,,კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ,,კანდიდატი" არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის (შემდგომში - ,,სკოლა") XVII ჯგუფის მსმენელი; ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი 9. ,,კანდიდატმა" მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა შემდეგი შედეგებით: ტესტური გამოცდა - 85 ქულა (მაქსიმალური ქულის 85%), წერითი გამოცდა - 15 ქულა (მაქსიმალური ქულის 60%).

,,სკოლის" დამოუკიდებელმა საბჭომ ,,კანდიდატი" დადებითად დაახასიათა; თუმცა - გასცა მასზე რეკომენდაცია, იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკურ საკითხების სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში.

2.1.7. ,,კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის ღონისძიებებში. იღებდა DAAD-ის (გერმანია, ვიადრინას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2016) სასწავლო სტიპენდიას, ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდიას (პოლონეთი, პოზნანი - 2017), კარლ ებერტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდიას (გერმანია, ტუბინგენი - 2017), შვედეთის მთავრობის სასწავლო სტიპენდიას (შვედეთი, ლუნდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2019). ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდები; ფლობს ინგლისურ ენას.

2.1.8. ,,კანდიდატი" ეწევა სამეცნიერო/ პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

2.1.8.1. 2017 წლის სექტემბრიდან დღემდე არის მოწვეული ლექტორი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე; 2022 წლის აგვისტოდან დღემდე არის ასოცირებული პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში; 2018 წლის თებერვლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე იყო მოწვეული ლექტორი ,,ალტეს" სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში; 2018 წლის მარტიდან 2020 წლის მარტის ჩათვლით იყო მოწვეული ლექტორი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში;

2.1.8.2. გამოქვეყნებული აქვს შრომები (სამეცნიერო სტატია/ მონოგრაფია/ წიგნი):

ა) სტატია - „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და სასჯელთა სახეები", პოლონურ-ქართული სამართლის მიმოხილვა, N2/2016, ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016წ.;

ბ) სტატია - შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში", „გურამ ნაჭყებია 75", საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", 2016წ.;

გ) სტატია - ,,ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში", ჟ. ,,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017;

დ) სტატია - ,,არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები", ჟ. ,,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", №2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017 და სხვა.

ე) თავი წიგნში - ,,სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით", არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2017;

ვ) ,,არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები", გამომცემლობა ,,ბონა კაუზა", თბილისი, 2023.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

2.2.1. ,,კანდიდატს" ,,საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. ,,კანდიდატი" ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

2.2.3. ,,კანდიდატმა" წარმოაჩინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) ძალიან კარგი ცოდნა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

ხელმოწერა:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. ,,კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 18 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ ,,კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება.

გარდა ამისა, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - **,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"**, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი" **აკმაყოფილებს** ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის"** მახასიათებელს.

3.2.2. ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ შეფასების 3.1 პუნქტში აღნიშნულ პრეზუმფციას ,,კანდიდატის" დანარჩენი 3 მახასიათებლის მიხედვით კეთილსინდისიერად მიჩნევის შესახებ, დავასკვენი, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ"-,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს (**,,დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა"**; **,,პიროვნული და პროფესიული ქცევა"**; **,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია")**.

3.2.3. ვინაიდან მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკეთე ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: **,,კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,სამართლის ნორმების ცოდნის"** მახასიათებლის მიხედვით, ,,კანდიდატს" მივანიჭე **21 ქულა**.

4.2. ამ შეფასების 2.1.6 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **21 ქულა**.

4.3. ამ შეფასების 2.1.6 პუნქტში (განსაკუთრებით - მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის წერითი ეტაპის გადალახვისას მინიჭებული ქულა, ,,სკოლის" მიერ გაცემული რეკომენდაცია) და 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **16 ქულა**.

4.4. ამ შეფასების 2.1.3 და 2.1.6 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან (განსაკუთრებით - ,,სკოლის" დამოუკიდებელი საბჭოს რეკომენდაციები) გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,პროფესიული თვისებები"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **13 ქულა.**

4.5. ამ შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **8 ქულა.**

4.7. ამ შეფასების 2.1.8 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,პროფესიული აქტივობის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **5 ქულა**.

4.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ,,კანდიდატს" მივანიჭე 84 ქულა (21+21+16+13+8+5)**.